ჯანმრთელობის ტურიზმი ირანში

majestic
IRAN

ჯანმრთელობის ტურიზმი ირანში

„გამოცდილების, შესაძლებლობებისა და ბუნებრივი რესურსების უნიკალური თანხვედრა“

ირანის ჯანმრთელობის ტურიზმის ინდრუსტრია, ბოლო წლებში მზარდი ტენდენციის მომსწრეა. სამედიცინო სფეროს განვითარებამ და პროგრესმა, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანმა წარმატებებმა, ირანი მსოფლიოსა და რეგიონის ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო და სამეცნიერო კერად აქცია. ერთის მხრივ ირანს აქვს სამედიცინო ცოდნისა და ეთიკის მრავალათასწლიანი ისტორია, სპეციალისტ ექიმები, საავადმყოფოებისა და ქირურგიული ცენტრების ფართო ქსელი, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიითა და უახლესი სამედიცინო აღჭურვილობით, ასევე რეპროდუქციული, ღეროვანი უჯრედების, თვალის ქირურგიის, პლასტიკური ქირურგიის, კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, სტომატოლოგიური, ტრანსპლანტოლოგიის, გულსისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის ეფექტური მეთოდები და მეორე მხრივ, გამორჩეული გეოგრაფიული მდებარეობა, ხელსაყრელი კლიმატი, ბუნების თვალწარმტაცი პეიზაჟები და სამკურნალო ბუნებრივი რესურსების უნიკალური შეთავსება, მაღალი პოტენციალი სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში. ჯანმრთელობის ტურიზმის სფეროში მსოფლიოს აქტიურ და წამყვან ქვეყნებს შორის, ირანს მოწინავე ადგილი უკავია. ირანის კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმისა და რეწვის სამინისტრო, გლობალური ჯანდაცვის ტურიზმის ბაზარზე ირანის წილის გაზრდის მიზნით არ იშურებს ძალისხმევას ქვეყნის ჯანმრთელობის ტურიზმის სტრატეგიის ფარგლებში საჭირო სამოქმედო გეგმების შესადგენად და ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად, აგრეთვე ჯანმრთელობის სფეროში არსებული სექტორების გააქტიურებასა და პროფესიონალური სერტიფიცირების მქონე ტურისტული მომსახურების კომპანიების რაოდენობის და ამ სფეროში მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ირანის უპირატესობები სამედიცინო ტურიზმში

სამკურნალო ტურიზმი

სამკურნალო ტურიზმს ირანში აქვს ძალიან მდიდარი ისტორია, უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას, ხელმისაწვდომ ფასებს, სხვადასხვა ისტორიულ, კულტურულ, ბუნებრივ, რეკრეაციულ და ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან ერთად, მას აქვს საკმარისი პოტენციალი ჯანმრთელობის ტურისტების მოსაზიდად რეგიონიდან და მთელი მსოფლიოდან.

• სამედიცინო აღჭურვილობა

ირანი ცნობილია თავისი თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობითა და ბიომედიცინური ინჟინერიით. ირანის საავადმყოფოები, სამკურნალო ცენტრები და სპეციალიზებული ლაბორატორიები აღჭურვილია მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიების ფართო სპექტრით და ყველაზე თანამედროვე ჰოსპიტალური აღჭურვილობით, მათ შორის სამედიცინო ვიზუალიზაციის, ქირურგიის, ინტენსიური თერაპიისა და მოწინავე ლაბორატორიებით დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სტაციონარული მომსახურების მიწოდებისთვის.

• დახელოვნებული და კვალიფიციური ექიმები

ირანი ცნობილია დახელოვნებული და კვალიფიცური სამედიცინო კადრებით. დღეისათვის, ჯანდაცვისა და სამკურნალო სფეროში ირანელი ექიმების პროფესიონალიზმისა და მომსახურების დონე საკმაოდ მაღალია, ასე რომ პაციენტებს მთელი მსოფლიოდან შეუძლიათ ირანელ ექიმებთან გაიარონ კონსულტაციები მკურნალობის საფეხურებისა და მეთოდების თაობაზე, აირჩიონ მათთვის მისაღები, ოპტიმალური სამკურნალო ტურისტული მარშრუტები. ირანელი ექიმების გუნდი პაციენტის ჩამოსვლიდან მის საბოლოო გამოჯანმრთელებამდე, საჭიროების შემთხვევაში პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემდეგაც, მის გვერდით იქნება.

• შესაფერისი მომსახურება

როგორც სამედიცინო ტურისტი ირანში, თქვენ ითვლებით VIP პაციენტად; თქვენ არ მოგიწევთ დროის დახარჯვა სპეციალისტი ექიმისა და შესაფერისი სამკურნალო დაწესებულების ძიებაში; ყველა სერვისი რაც შეიძლება დაგჭირდეთ, წინასწარ არის გათვალისწინებული და შეთანხმებული.

• მკურნალობის მოწინავე მეთოდები

აღსანიშნავია, რომ ირანს აქვს ღეოვანი უჯრედებით მკურნალობის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები; აგრთვე გთავაზობთ სამედიცინო პროცედურების ფართო სპექტრს - პლასტიკური ქირურგია და კოსმეტიკა მათ შორის სახის და სხეულის სხვა ნაწილების კორექცია, თერაპიული და კოსმეტიკური სტომატოლოგია, ასევე უშვილობის მკურნალობა, ქირურგულ ოპერაციები ჭარბი წონის მოსაშორებლად, ორთოპედია, გულის ქირურგია, ოფთალმოლოგია, კიბოს დიაგნოტიკა და მკურნალობა, ტრანსპლანტოლოგია, ნეიროქირურგია, ხერხემალზე სხვადასხვა ტიპის ქირურგიული ოპერაციები და სხვა მრავალი.

• სამედიცინო ხარჯებისა და მომსახურების ხარჯ-ეფექტურობა

გლობალური და რეგიონული მასშტაბით სამედიცინო სერვისებისა და ხარჯ-ეფექტურობა ირანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა სამედიცინო ტურიზმში.



majestic IRAN
A Different Experience

ირანის მიღწევები ჯანმრთელობის ტურიზმში

- პირველი ადგილი რეგიონში IVF კვლევებსა და უნაყოფობის მკურნალობაში
- მე-4 ადგილი მსოფლიოში უნაყოფობის მკურნალობის და მეან-გინეკოლოგიის დარგში
- მე-12 ადგილი სტომატოლოგიის დარგში, განსაკუთრებით კოსმეტიკური სტომატოლოგიაში.
- მსოფლიოს 10 წამყვან ქვეყანას შორის კარდიოლოგიის დარგში (ახლო აღმოსავლეთის რეგიონი).
- პლასტიკური და კოსმეტოლოგიური ქირურგიის რაოდენობით მე-10 ადგილი მსოფლიოში
- პირველი ადგილი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში სკრინინგის, ოპტომეტრიისა და ოფთალმოლოგიურ მომსახურებებში
- 200 ქვეყანას შორის 27-ე ადგილი ნევროლოგიის დარგში
- თმის გადანერგვისა და აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ირანში სამედიცინო ტურიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები

თეირანი, შუა აღმოსავლეთის გული

თეირანი, როგორც ირანის დედაქალაქი, ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სამედიცინო ცენტრია. ახლო აღმოსავლეთში საუკეთესო და მსოფლიოს მასშტაბით 5/6 კარდიოლოგიური ცენტრიდან ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ აქ, ამ ქალაქში მდებარეობს. სწორედ ამიტომ თეირანი ახლო აღმოსავლეთის კარდიოლოგიის ცენტრად მოიაზრება.

„როიანის კვლევითი ინსტიტუტი“ უნაყოფობის მკურნალობის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია ირანში, რომელსაც უამრავი წყვილი აკითხავს სხვადასხვა ქვეყნიდან.

„ნურის ოფთალმოლოგიური საავადმყოფო“, კვალიფიციური სპეციალისტებითა და მოწინავე აღჭურვილობით, თვალის დაავადებების მკურნალობის ყველაზე მოწინავე ცენტრია ახლო აღმოსავლეთში.

სამხატვრო გალერეების, თანამედროვე გასართობი და სავაჭრო ცენტრების, ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების არსებობა, დამატების სასიამოვნო გარემოს ქმნის პაციენტისა და მისი თანმხლები პირებისთვის.

შირაზი - ღვიძლის ტრანსპლანტაციის ცენტრი ახლო აღმოსავლეთში

შირაზი, ჯანმრთელობის ტურიზმის ცენტრი სამხრეთ ირანში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამედიცინო ტურისტული მარშრუტია ახლო აღმოსავლეთში. ქალაქი ყოველწლიურად ათასობით უცხოელ პაციენტს მასპინძლობს. შირაზი გთავაზობთ სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებებში კვალიფიციური, გამოცდილი ექიმების და მაღალი დონის ფართო სპექტრს სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის ორგანოების ტრანსპლანტაციის, ოფთალმოლოგიის, პლასტიკურ-კოსმეტოლოგიური, გულსისხლძარღვთა, უშვილობის მკურნალობის მიმართულებით. გარდა ამისა, ქალაქ შირაზი, სპარსული პოეზიისა და ლიტერატურის ცენტრი, ისტორიული და კულტურული ატრაქციებითა და ულამაზესი ბაღებით, რომლიც მიწიერ სამოთხეს წააგავს, განსაკუთრებული დადებითი აურითა და ემოციებით, გამოჯანმრთელებისთვის კიდევ მეტად ხელსაყრელ გარემოს ქმნის.



იაზდი - უშვილობის სამკურნალო ცენტრი ახლო აღმოსავლეთში

ქალაქი იაზდი მნიშვნელოვანი სამედიცინო ცენტრია, ჯანდაცვის სფეროში არსებული სხვადასხვა სახის ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სპეციალიზირებული და სუბსპეციალიზებული ცენტრებით; იაზდს ყოველთვის მნიშვნელოვანიადგილი ეკავა სამკურნალო ტურიზმში როგორც უნაყოფობის სამკურნალო პირველ ცენტრს ირანში. იაზდის უშვილობის სამკურნალო ცენტრი გამოირჩევა ყველაზე დაბალი სამომსახურებო ხარჯით და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი დონის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზით. აღსანიშნავია, რომ იაზდის უშვილობის სამკურნალო ცენტრს მიმართავენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ქუვეითიდან, ერაყიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, აზერბაიჯანიდან, პაკისტანიდან და ავღანეთიდან.

იაზდი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია ათასწლოვანი ისტორიით. უნიკალური არქიტექტურის მქონე ქალაქი ორიგინალური ქარსაჭერებით, მიწისქვეშა წყალმომარაგების უძველესი სისტემით, ორიგინალური ხელნაკეთი ნივთებით, სხვადასხვა რელიგიის წმინდა ადგილებითა და უნიკალური ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით, ეკოტურიზმისა და გამაჯანსაღებელი ტურიზმის მზარდი პოტენციალით, გამოჯანმრთელების პერიოდს დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ავსებს.



მეშჰედი - კიბოს სამკურნალო და ორგანოთა ტრანსპლანტაციის ცენტრი

ბოლო წლების განმავლობაში, ქალაქი მეშჰედი, თამაედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფოებით და გამოცდილი სამედიცინო პერსონალით, ირანის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ცენტრია კიბოს პრევენციისა და მკურნალობის და ორგანოების ტრანსპლანტაციის მიმართულებით. გარდა ამისა, აქ არაერთი მაღალკვალიფიციური ესთეტიკური მედიცინის ცენტრია, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მომსახურებას გთავაზობენ, მათ შორის თმის გადანერგვა, რინოპლასტიკა, თვალის ქირურგია და სხვა.

მეშჰედში მდებარეობს იმამ რეზას მავზოლეუმი, რაც ქალაქს რელიგიური ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებად აქცევს. რელიგიური კუთვნილება, მუსლიმი ექიმებისადმი ნდობის განცდა და სულიერებით განმსჭვალული ქალაქის ატმოსფერო, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ტურისტების მიერ მეშჰედის, როგორც ჯანმრთელობის ტურიზმის მარშრუტის არჩევისას.

ირანის სასაზღვრო პროვინციები

სისტან-ბელუჯისტანი

პროვინციაში ტურისტული მომსახურების ორი სერტიფიცირებული კომპანიაა საერთაშორისო პაციენტების მიღების შესაძლებლობით და ორი IPD ლიცენზირებული საავადმყოფო. სისტან-ბელუჯისტანის პროვინცია მიმზიდველი ტურისტული მიმართულებაა ჯანმრთელობის ტურისტებისთვის, განსაკუთრებით პროვინციის სასაზღვრო ქვეყნებიდან, მათ შორის ავღანეთიდან, პაკისტანიდან, ომანიდან და ერაყიდან, ცენტრალური აზიიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან და აფრიკიდან. უცხოელი ძირითადა სარგებლობენ შემდეგი სამედიცინო მომსახურებებით: ოფთალმოლოგია, კარდიოლოგია და გინეკოლოგია. ასევე, ამ პროვინციის ტაფტანისა და ბაზმანის რაიონში მინერალური თერმული წყაროების არსებობამ განაპირობა გამაჯანსაღებელი ტურიზმის ინდუსტიის სწრაფი ზრდა.



დასავლეთ აზერბაიჯანი

ათი სამკურნალო ცენტრითა და საავადმყოფოთი, IPD ლიცენზიით, შვიდი ზონით, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ჯანდაცვის ტურიზმის სერვისების მიწოდება, მათ შორის ჰიდროთერაპია, სამკურნალო მასაჟები, სამკურნალო ტალახით, ქვიშით და მარილით მკურნალობა, გამაჯანსაღებელი „სოფელი“, ჩვიდმეტი სასტუმრო და ცხრა ეკოტურისტული განსახლების ცენტრი, პროფესიული ჯანმრთელობის ტურიზმის საერთაშორისო სერტიფიკატით სერტიფიცერებული თერთმეტი მოგზაუროთა და ტურისტული სერვისების ოფისი, მრავალფეროვანი სამკურნალო მცენარეებით და ულამაზესი ბუნებით, მთების, ტბების, ჩანჩქერებისა და ტყეების სიუხვით, გთავაზობთ მაღალი ხარისხის მომასხურებას თანამედროვ ჯანმრთელობის ცენტრებთან და ტრადიციულ მედიცინასთან ერთად.

დასავლეთ აზერბაიჯანში მოქმედ სამედიცინი-სამკურნალო ტურიზმის ცენტრებს და საავადმყოფოებს ხშირად მიმართავენ ტურისტები აზერბაიჯანიდან (ნახიჩევანის ავტონომიური ოლქი), ერაყის ქურთისტანიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან, რომლებიც იღებენ ფართო სპექტრის სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის თმის აღდგენის, ორგანოთა ტრანსპლანტაციის, ოფთალმოლოგიის, კარდიოლოგიის, პედიატრიის, ორთოპედიის, უროლოგიის, ნევროლოგიის, ყელ-ყურ-ცხვირის, ონკოლოგიის და ჰემატოლოგიის, რეკონსტრუქციული ქირურგიის, კუჭ-ნაწლავის და პლასტიკური ქირურგიის, უშვილობის მკურნალობის და სხვა განხრით.

ილამი

ილამის პროვინციას, სამი აქტიური ტურისტული სერვისების კომპანიით, რომლებიც მინიჭებული აქვთ ჯანმრთელობის ტურიზმის საერთაშორისო ლიცენზია, ერთი საავადმყოფო-სასტუმროთი IPD ლიცენზიით, სპეციალიზებული პერსონალით, რომელიც თავისუფლად ფლობს არაბულ და ინგლისურ ენებს, აქვს შესაძლებლობა მიიღოს ჯანმრთელობის ტურიზმის მიმართულებით საერთაშორისო სტუმრები.
აქ ფუნქციონრებს ბალნეოლოგიური კურორტი გამართული ინფრასტრუქტურით, შვიდი ტურისტული სოფელი. ერაყთან ყველაზე გრძელი სასაზღვრო ზოლის არსებობამ განაპირობა ილამის პროვინციაში ყველაზე მეტი ერაყელი ვიზიტორის თავმოყრა, რომლებიც უმეტესად მომსახურებას იღებენ ოფთალმოლოგიის, პლასტიკური და ქირურგიის სხვადასხვა განხრით.

ჰორმოზგანი

ჰორმოზგანის პროვინციაში სამი სამედიცინო ცენტრი და საავადმყოფო IPD საერთაშორისო სტანდარტის ლიცენზიით, ორი ტურისტული და ჰიდროთერაპიის კომპლექსი ფუნქციონირებს, რომლებიც იღებენ ვიზიტორებს ომანიდან, კატარიდან, ბაჰრეინიდან და არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან. ჰორმოზგანის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრებს უმეტესწილად მიმართავენ პლასტიკური ქირურგიის, უნაყოფობის და თვალის დაავადებების სამკურნალოდ და სხვა. ასევე, მაკრანის სანაპიროს თერმული წყაროები და სამკურნალო ტალახის ვულკანები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული მარშრუტებია ვიზიტორებისთვის ყატარიდან, ომანიდან და სპარსეთის ყურის აუზის სხვა ქვეყნებიდან.

ირანის სასაზღვრო პროვინციები

გილანი

გილანის პროვინცია ექვსი IPD ლიცენზირებული საავადმყოფოთი და ხუთი ტურისტული მომსახურების ოფისით, რომლებიც აქტიურია ჯანმრთელობის ტურიზმის სფეროში, მიმზიდველი მარშრუტია ჯანმრთელობის ტურისტებისთვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, ერაყიდან, ავღანეთიდან, ლიბანიდან, ომანიდან და იორდანიიდან, განსაკუთრებით თვალის, ესთეტიკური სილამაზის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, მეან-გინეკოლოგიისა და ორთოპედის მიმართულებით. საავადმყოფოები და ჯანმრთელობის ცენტრები ასევე სთავაზობენ ჯანმრთელობის და გამაჯანსაღებელი ტურიზმის სფეროში ლიცენზირებულ მომსახურებას ტრადიციული მედიცინის ან ალტერნატიული მედიცინის განხრით. გილანის პროვინციაში მოგზაურობა, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია - თერმული წყლების რვა წყარო, მინერალური წყლები და სამკურნალო ჭაობები, გამაჯანსაღებელი თერაპიის მიზნით მიზანშეწონილია კანის დაავადებების, ძვლებისა და რევმატიზმის სამკურნალოდ.

აღმოსავლეთ აზერბაიჯანი

აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში 30 საავადმყოფო თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფოა; მათგანი თერთმეტი სპეციალიზებულ და სუბსპეციალიზებულ საავადმყოფოს აქვს საერთაშორისო ტურისტული მისაღებად გამართული ინფრასტრუქტურა. აღმოსავლეთ აზერბაიჯანის სამკურნალო და გამაჯანსაღებელ ცენტრებში ჩამოდიან ვიზიტორები აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, ნახიჩევანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და ერაყიდან; საერთაშორისო ვიზიტორები ძირითადად მკურნალობენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, უშვილობას, რესპირატორულ დაავადებებს და ტუბერკულოზს და სხვა.

ჩრდილოეთ ხორასანი

ჩრდილოეთ ხორასნის პროვინციაში მოქმედებს ერთი სპეციალიზებული ქირურგიის ცენტრი და კლინიკა ზოგადი ქირურგიის განხრით, რომელიც სთავაზობს მომსახურებას შემდეგი განხრით: პლასტიკური ქირურგიის სახეობები, მათ შორის თვალის, ცხვირის პლასტიკა, გინეკოლოგიური ოპერაციები და სტომატოლოგიური მომსახურება. ჩრდილოეთ ხორასანში გვხვდება სამი თერმული და მინერალური წყლის წყაროები კანის დაავადებების სამკურნალო თვისებებით; მრავალფეროვანი სამკურნალო თვისებები მქონე მცენარეების და მცენარეული მედიკამენტების სიმრავლე, ხელუხლებელი ბუნებრივი ლანდშაფტები ჩრდილოეთ ხორასნის პროვინციას ჯანმრთელობის ტურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე

მაზანდარანი

მაზანდარანის პროვინცია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული დანიშნულებაა საერთაშორისო ჯანმრთელობის ტურისტებისთვის სპარსეთის ყურის, დსთ-ს და ევროპის ქვეყნებიდან, რაც განპირობებულია აქ არსებული აქტიური სამი სამედიცინო ცენტრების არსებობით, რომლებიც იღებენ საერთაშორისო პაციენტებს ისეთი განხრით, როგორიცაა უშვილობის მკურნალობა, მეან-გინეკოლოგია და პლასტიკურ-კოსმეტიკური პროცედურები. აქ ფუნქციონირებს სასტუმრო-საცხოვრებლები საერთაშორისო ტურისტებისთვის, ჰიდროთერაპიის ცენტრი და სამკურნალო თვისებების მქონე ცხელი წყაროები მინერალური მარილებით ლარიჯანში, რამსარში და ამოლში, მათ შორის ბადაბე სურთის ტერასული თერმული წყლის წყაროები სხვადასხვა შეფერილობის - წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი უნიკალური ლანდშაფტით, სამკურნალო თვისებების მარილებითა და მინერალებით; ეს ყველაფერი, სხვა უნიკალურ ბუნებრივ ატრაქციებთან ერთად, ამ პროვინციას საერთაშორისო ტურისტებისთვის პოპულარულ ადგილად აქცევს. თერაპიული და უნიკალური ბუნებრივი ატრაქციონებით.

ირანის სასაზღვრო პროვინციები





ქურთისტანი

ქურთისტანის პროვინციაში ფუნქციონირებს ლიცენზირებული 12 საავადმყოფო, კლინიკა და ქირურგიული ცენტრი IPD ლიცენზიით, შვიდი ტურისტული ცენტრი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის ტურიზმისთვის მომსახურების მიწოდება. აგრეთვე ჯანმრთელობის ტურიზმის მომსახურების კომპლექსი და საინფორმაციო ცენტრი, ტურისტული სერვისების კომპანიები. ხელუხლებელი ბუნება მრავალფეროვანი სამკურნალო მცენარეებითა და მინერალური წყაროებით, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მარშრუტია ერაყის ქურთისტანის რეგიონიდან სამედიცინო ტურისტებისთვის ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა ნევროლოგიური და გულის დაავადებები, ოტოლარინგოლოგიური, ოფთალმოლოგიური, რინოპლასტიკა და აბდომინოპლასტიკა.

ქერმანშაჰი

ქერმანშაჰის პროვინციას აქვს ცხრა საავადმყოფო IPD განყოფილებით. მოგზაურებისა და ტურისტული მომსახურების ხუთი ოფისი ჯანმრთელობის ტურიზმის ლიცენზიით. ქმ პროვინციის სამკურნალო დაწესებულებებს მიმართავენ საერთაშორისო პაციენტები ერაყიდან, ძირითადად ზოგადი ქირურგიის, ორთოპედიის და ნეიროქირურგიის, მეან-გინეკოლოგიის, რქოვანას ტრანსპლანტაციის, პლასტიკური ქირურგიის, ოფთალმოლოგიის, ოტო-რინო-ლარინგოლოგიის განხრით.

გოლესთანი

გოლესთანის პროვინცია, განსაკუთრებული და უნიკალური კლიმატური პირობები, მთის კურორტებით, თხუთმეტი ეკო-ტურისტული მარშრუტით, სერტიფიცირებული ხუთი ტურისტული კომპანიით, ასევე ერთ-ერთი პოპულარული დანიშნულების ადგილია ჯანმრთელობის ტურისტებისთვის ავღანეთიდან, ყაზახეთიდან, ომანიდან და ერაყიდან. გოლესთანის პროვინციაში ორი IPD ლიცენზირებული საავადმყოფოა, რომლებიც საერთაშორისო პაციენტებს სთავაზობენ ისეთ სერვისების როგორიცაა ორმხრივი სინუსიტის, რეციდიული თიაქარის, ლიმფური კვანძების მკურნალობა და ოპერაცია, სინოპლასტიკა, რინოპლასტიკა, გასტროშუნტირება.

არდებილი



არდებილის პროვინციაში ოთხი IPD ლიცენზირებული სამედიცინო ცენტრია, ერთი ტრადიციული მედიცინის ცენტრი, 110 მინერალური წყარო და ოცდათოთხმეტი თანამედროვე ბალნეოლოგიური კომპლექსი მთელი პროვინციის მასშტაბით. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერვისებით და ხელუხლებელი ბუნებრივი ლანდშაფტებით. უნიკალური კლიმატიური პირობებით, განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში, პოპულარული დანიშნულებაა ჯანმრთელობის ტურისტებისთვის აზერბაიჯანიდან, ერაყიდან, ყაზახეთიდან, ომანიდან, თურქეთიდან, სუდანიდან, ავსტრალიიდან, შრი-ლანკადან და იტალიიდან. გამოცდილი პროფესიონალები სთავაზობენ სამედიციმო მომსახურებას შემდეგი განხრით: ორგანოების ტრანსპლანტაცია, გულსისხლძარღვთა მკურნალობა, ონკოლოგია, ორთოპედია, სტომატოლოგია, ნეიროქირურგია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ოფთალმოლოგია, ესთეტიკური ქირურგია, უჯრედული თერაპია.

ხუზისთანი

სახელმწიფო და კერძო ტიპის თერთმეტი საავადმყოფო IPD ლიცენზიით, ექვსი ტურისტული კომპანია ჯანმრთელობის ტურიზმის საერთაშორისო ლიცენზიით, მომსახურებას უწევს საერთაშორისო პაციენტებს ერაყიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, ომანიდან, ქუვეითიდან და სპარსეთის ყურის აუზის სხვა ქვეყნებიდან.

სამხრეთ ხორასანი

სამხრეთ ხორასნის პროვინციის ორი საავადმყოფო IPD ლიცენზიით და ერთი ბალნეოლოგიური კომპლექსით, მომსახურებას უწევს საერთაშორისო ვიზიტორებს ძირითადად ავღანეთიდან, განსაკუთრებით ნეიროქირურგია, გულის დაავადების მკურნალობის და ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართულებით.

ჯანმრთელობის და თერაპიული ტურიზმი

ირანი გამოირჩევა კლიმატის მრავალფეროვნებითა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, დაჯილდოებულია მომხიბვლელი ბუნებით - კასპიის ზღვის, სპარსეთის ყურის და ომანის ზღვის მზიანი სანაპიროებით, ჰირკანული და მანგროს ტყეებით, უხვი ველური ბუნებით, მთიანი რეგიონებით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, უნიკალური უდაბნო ტერიტორიებით ლუთის უდაბნოს ცენტრში და მის დასავლეთ კიდეზე, ჭარბტენიანი ტერიტორიებით, გამოქვაბულებით, ჩანჩქერებით, თერმული წყლების წყაროებით. ეს ბუნებრივი სიმდიდრე ირანს აქცევს შესაფერის ადგილად ტურისტების ყველანაირი ინტერესისა და გემოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ეძებენ ადგილს ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ყოველდღიური ცხოვრების სტრესისა და შფოთვისგან თავის დასაღწევად და ბუნების სამკურნალო ძალებით ენერგიით და ახალი ძალებით ასავსებად.

ირანის უპირატესობები გამაჯანსარებელ ტურიზმსა და ეკოთერაპიაში

მინერალური წყაროები

ირანის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა შემადგენლობის ასობით ცხელი და ცივი მინერალური წყლის წყაროა. ირანულ ცხელ წყლებს აქვთ მნიშვნელოვანი გეოქიმიური მრავალფეროვნება და ნერვული, რევმატული, სახსრების, კუნთოვანი და კანის დაავადებების შემსუბუქების და გაუმჯობესების უნარი; გამოიყენება როგორც დამატებითი თერაპიული საშუალება. გარდა მათი სამკურნალო თვისებებისა, ამ წყაროების ბუნებრივი და გეოგრაფიული მდებარეობა - ეფექტური და თვალწარმტაცი ხედებით, სასიამოვნო კლიმატით, ტრადიციული და თანამედროვე სასტუმრო სახლებით და მრავალფეროვანი სერვისებით, ყოველწლიურად უამრავ ტურისტს იზიდავს გამაჯანსაღებელი და სამკურნალო მიზნით. იმავდროულად, სავალანის მთის კალაზე მდებარე ტურისტული ქალაქი სარეინი, მინერალური წყლის წყაროების სიუხვის წყალობით, ირანის მთავარი ჰიდროთერაპიულ ცენტრს წარმოადგენს. ქალაქში ათობით მინერალური ცხელი წყლის წყაროა, რომლებიც სავალანის მთიდან იღებენ სათავეს. მაზანდარანის პროვინციის მინერალური წყაროს წყლები, რომლებიც პირველია ირანში ბუნებრივი ატრაქციებით, ამ პროვინციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა და ჯანმრთელობის მთავარი წყაროა. საერთაშორისო გამაჯანსაღებელი ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მიმართულებად შეიძლება დასახელდეს რამსარის და ლარიჯანის ცხელი და მინერალური წყაროები, ბადაბე სურთის ტერასული თერმული წყლის წყაროები სხვადასხვა ფერის - წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი შეფერილობით და განუმეორებელი პეიზაჟებით, ლანდშაფტით.

ქალაქები და სოფლები მდიდარი ბუნებით განთქმულ მარქაზის პროვინციაში, ქალაქი აჰრამი ბუშეჰრის პროვინციაში, დეჰლორანი ილამის პროვინციაში, ტაფტანისა და ბაზმანის რეგიონები სისტან-ბელუჯისტანის პროვინციებში, მდიდარია ცხელი მინერალური წყაროებით და ულამაზესი პლაჟებით ¹აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ქალაქ ქალეიბარში, ლორესთანის, ბანდარ აბასის და დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციების არაერთ ქალაქში 46 თერმული წყაროა, რაც ირანის ჰიდროთერაპიული ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილია.

მარილის მღვიმეები და მარილანი ტბა

ურმიის მარილიანი ტბის, აგრეთვე მარილის მღვიმეების, როგორებიცაა გარმსარის მარილის მღვიმე, ნამაქ ხორის ჩანჩქერი და ისპაჰანის მცირე უდაბნო, არსებობამ განაპირობა ირანში ჰალოთერაპიისა განვითარება რესპირატორული და კანის დაავადებების სამკურნალო და პროფილაქტიკის მიზნით. ურმიის ტბა, ურმიის ტბა სიდიდით მეორე მარილიანი ტბაა მსოფლიოში მკვდარი ზღვის შემდეგ. ტბაში თორმეტი პატარა კუნძულია, ხოლო ტბის სანაპირო ზოლის მარილები, სილა და წყალმცენარეები ეფექტურია კანის დაავადებებსა და რევმატიზმს სამკურნალოდ პროფილაქტიკისათვის. ურმიის ტბის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრს წლის განმავლობაში უამრავი საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტი სტუმრობს.

კასპიის ზღვის, სპარსეთის ყურის და ომანის ზღვის სანაპირო ზოლები

ჩრდილოეთით კასპიის ტბის სანაპირო და ირანის სამხრეთში სპარსეთის ყურის და ომანის ზღვის სანაპირო ზოლებმა შექმნეს ჯანმრთელობის ტურიზმისათვის უნიკალური ხელსაყრელი პირობები. იმუნური სისტემის გაძლიერებაში, ორგანიზმის გაჯანსაღებასა და სტრესის მოხსნაში დაგეხმარებათ ზღვის იშვიათი მინერალები, ზღვის წყალში ცურვა (ბალნეოთერაპია), სანაპიროზე სეირნობა და ცხელ ქვიშაზე დასვენება (ფსამო თერაპია), ბუნებრივი ნალექის ან ზღვის მცენარეების თერაპია და მზის სხივებით მკურნალობა (ჰელიოთერაპია).



უდაბნოები

ირანის უდაბნოებს მდიდარი ტურისტული და თერაპიული პოტენციალი გააჩნიათ, მათ შორის ქვიშის თერაპია, მზის თერაპია და მედიტაცია, ციურ მნათობებზე დაკვირვების შესაძლებლობა და ხანგრძლივი სეირნობა თბილ ქვიშაზე, აქლემით გასეირნება, საფარი, ზიპლაინები, რაც უამრავ უცხოელ და ადგილობრივ ტურისტს იზიდავს.
მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვიშის დიუნები, ქერმანის პროვინციაში, რიგანის რაიონში მდებარეობს. ჯანმრთელობის ტურიზმის სფეროში ამ ქვიშის საკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები ეფექტურად გამოიყენება - უდაბნოს თბილი ქვიშის აბაზანები ეფექტურია კანისა და სახსრების დაავადებების სამკურნალოდ.
მესრის, მარანჯაბის, ხალვანის, ლუთის უდაბნოები მზის სამკურნალო თვისებებით (ამ უდაბნოში მზის სხივების სამკურნალო თვისებები ამ რეგიონში ცაზე ოზონის შრის არარსებობის გამო), ასევე მათინ აბადის უდაბნო, ზარდგაჰის უდაბნო, რომეიც ყველაზე "მწვანე უდაბნოს" სახელითაა ცნობილი ირანში, ყველაზე დიდი ვარზანეს უდაბნო, რიგ ზარინის უდაბნო, აგრეთვე შაჰდადის უდაბნო მცოცავი ქვიშებითა და იარდანგების საოცარი ფენომენით, რომლებიც გამოწვეულია მრავალი წლის წყლისა და ქარის ეროზიით, დედამიწის ყველაზე ცხელი წერტილი - განდომ ბერაიანის დაბლობი, ვულკანური წარმოშობის კონუსური სვეტები, მაღალი ქვიშის პირამიდები, ნაცრისფერი და ყავისფერი ქვიშის უზარმაზარი ტერიტორიები, ტალღოვანი ქვიშის დიუნები და ირანის ულამაზესი ბუნების ერთი ნაწილია.

ტალახის ვულკანები

ტალახის ვულკანი გეოლოგიური წარმონაქმნია, რომელიც გამუდმებით ან დროდადრო აფრქვევს ტალახს . ტალახი, რომელიც გაჯერებულია მინერალებითა და ორგანული ნივთიერებებით ეფექტურია, როგორც დამატებითი თერაპიული საშუალება კანის მრავალი დაავადების, ვაზოკონსტრიქციის, რევმატიული ტკივილის, ზურგის ტკივილისა და კუნთების სიმკვრივის სამკურნალოდ. მსოფლიოში არსებული დაახლოებით 800 ტალახის ვულკანის ნახევარზე მეტი, თავმოყრილია კასპიის და ომანის ზღვის გარშემო. ფირგოლის ტალახის ვულკანი ერთადერთი სანაპირო ზოლიდან დაშორებული და ყველაზე დიდი ტალახის ვულკანია ირანის პლატოზე და გეიზერის ტალახის დაბალი ტემპერატურა, მისი კიდევ ერთი უცნაური და უნიკალური თავისებურებაა. ასევე, სისტან-ბელუჯისთანის პროვინციის მაქრანის სანაპირო ზოლზე , ტალახის გეიზერების ვულკანების გარდა, ტურისტებისთვის სხვა ბევრი საინტერესო და მიმზიდველი ღირსშესანიშნაობაა, რაც აქ მოგზაურობას დაუვიწყარს გახდის.

ხალხური მედიცინა და სამკურნალო მცენარეები

ტრადიციული ირანული მედიცინა, რამდენიმე ათასი წლის ისტორიით და დაგროვებული ემპირიული ცოდნით სამკურნალო საშუალებების, სამკურნალო მცენარეების, ჰიგიენური ჩვევების, დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ, ისეთი დიდი მეცნიერების ტრადიციების გამგრეზძელებილია, როგორებიც იყვნენ ავიცენა, რაზი, ჯორჯანი და სხვები.

ტრადიციული ირანული მედიცინა, დაავადების სწორი დიაგნოსტიკისა და შესაბამისი მკურნალობის უზრუნველსაყოფად, დიაგნოსტირებას უკეთებ სხეულის ყველა ნაწილს, გენეტიკას, ცხოვრების წესს და პირობებს, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ასაკს, გეოგრაფიას და ა.შ., რათა ზუსტად აღმოაჩინოს ის ფაქტორი, რომელიც არღვევს ჯანმრთელობის წონასწორობას პაციენტის სხეულში.

მკურნალობის პირველ ეტაპზე ხდება ცხოვრების წესის და განსაკუთრებით კვების კორექცია, შემდეგ კი მცენარეული მედიკამენტებით მკურნალობა და სისხლის გამოშვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, მასაჟი და ა.შ.

სხვადასხვა სამკურნალო და არომატული მცენარის გაშენება ყოველთვის იყო ირანული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ნაწილი, რასაც ხელს უწყობდა ირანის განსაკუთრებული ხელსაყრელი კლიმატი და ბუნებრივი პირობები. ირანი მდიდარია სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნებით; აქ გამოვლენილი 8000 მცენარის სახეობიდან 2300-ზე მეტი სახეობა სამკურნალოა, 1727 ენდემური სახეობაა და გამოიყენება ტრადიციულ ფარმაკოლოგიაში.

majestic IRAN
A Different Experience

ირანის კულტურული მემკვიდრეობის,
ტურიზმის და რეწვის სამინისტრო

ქართულ ენაზე ითარგმნა
თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის
საელჩოს კულტურის განყოფილების მიერ